კვირა 14 ივნისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი [illegible]
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 104 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 104

„სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

ტელეფონი № 76.

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

დავეხმაროთ ჩვენ ძმა—აჭარლებს!

თ-დ დ. ო. ნიჟარაძის დახმარებით, ქუთაისის ქალთა ერთი ჯგუფი მართავს

„ფინჯან ჩაის“

ლადიძის აივანზე, თეთრ ხიდთან.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

შემოსავალი გადაიდება აჭარელთა სასარგებლოდ.

ქართველებო, ნუ დაიშურებთ თქვენ წვლილს, მოსწმინდეთ ცრემლი მწუხარების ჩვენ აწიოკებულსა და ომისაგან დარბეულ თანამოძმეთ.

ეკატერინე საშა ქავთარაძის ასული და ზაქარია ივანეს ძე კოპლატაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი საყვარელი ქმრის, ხოლო მეორე ძვირფასი მამის

ივანე (იგივე ვახტანგ) კოპლატაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე ბალახვანის ქუჩაზე ნოსელიძის სახლში სამების ეკლესიის მახლობლათ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულდამწვარნი ჭირისუფალნი იმედოვნებენ, რომ ამ მათთვის შავდღეს ნათესავ-ნაცნობები მობრძანდებიან და ნუგეშს სცემენ თავისი მორძანებით ჭირისუფალთ.

1—1

ძმათა ქორქოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ანჯა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა და ელისაბედ ლუარსაბის ასული მეძმარიაშვილი 1 ენკენისთვეს 1915 წ., გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბაღრიძის სახლში ხსნიან

ქალ-ვაჟთა მოსამზადებელ სკოლას

საბავშო ბაღით.

სამოსწავლო გადასახადი 10 მანეთი თვეში.

ბავშების მიღება დაიწყება 20 მარიამობისთვიდან.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავადმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავადმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

ექიმი ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავადმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

ბათომიდან გადმოვიდნენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავადმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავადმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ. კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავადმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის

კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ქალაქის თეატრი.

ალ. იმედაშვილის წარმოდგენა

კვირას, 14 ივნისს 1915 წ. წარმოდგენილი იქნება ოტელო ტრაგედია 5 მ. 9 ს. ვ. შექსპირისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ-ნი მ. მდივანი, ნ. ჯავახიშვილისა, ბ. ბ. ალ. იმედაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ა. ყალაბეგიშვილი, ი. ბარველი, ვ. სარელი, სანდალიძე, ა. გუგუშვილი და სხვ. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქალაქის საავადმყოფოში, საღორიის აგარაკში, გაიხსნა სამშობიარო განყოფილება, სადაც ყოველ დროს, დღითა და ღამით შეიძლება მიღებულ იქნენ მშობიარენი. 14-13—234.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავადმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მ[illegible]შვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

# ომი

(პეტ. ტელ. სააგენტოსაგან).

**პეტროგრადი.** ოფიციალური. 11 ივნისი. მურავიოვის სადგურის მიდამოებში მცირე შეტაკება იყო. ჩვენ დავატყვევეთ რამდენიმე კაცი. გავანადგურეთ 100 ფურგონი მტრის ბარგით დატვირთული და წამოვიყვანეთ 50—ცხენი. მტკიცთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა ამოწყვიტა 50 გერმანელი მზვერავი და 30 გუსარი. შავლის მიდამოებში სასტიკი ბრძოლა იყო, მიუხედავათ გერმანელების წინააღმდეგობისა ჩვენ წინ წავიწიეთ და დავიჭირეთ რამოდენიმე წყება გერმანელთა თხრილებისა.

კოვნოს ჩრდილოეთით ხანგამოშვებული სროლა იყო. ნემანის მარცხენა ნაპირზე დიდი შეტაკება არ მომხდარა. ერთი ჩვენი ბატალიონი მტრის ჯარს ზურგიდან მოექცა და გერმანელების ერთი როტა ამოწყვიტა, რამოდენიმე ტყვეთ წამოიყვანა და მშვიდობით დაუბრუნდა თავის პოლკს. დანარჩენ ფრონტზე ვისლის მარცხენა ნაპირზე არტილერიის სროლა იყო, რომელიც ზოგიერთ ადგილებში სასტიკს ხასიათს ღებულობდა; ჩვენ ავაფეთქეთ გერმანელების ნაღმები, პლოცკის მახლობლათ ჩვენმა მფრინავებმა 8 ყუმბარა ჩამოაგდეს, რომლითაც მტერი დაზიანდა. ვისლის რაიონში ჩვეულებრივი სროლაა. მტრის იერიში ყველგან მოგერებული იქნა. გალიციაში ასპას მიდამოებში, ლუბლინეცისაკენ მიმართული მტრის იერიში მოვიგერიეთ. ბრუსეას რაიონში მტერმა კვლავ იერიში მიიტანა მძიმე არტილერიის დახმარებით. პოტილოვის მიდამოებში რავა-რუსკას დასავლეთით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტერზე იერიში მიიტანა და სამი როტა ამოსწყვიტა. 9 ივნისს. საღამოს ბრუსმას მიდამოებში მტრის იერიში შევაჩერეთ.

ჩვენი მზვერავები 10 ივნისს ღამით ტანევას სამხრეთ ნაპირზე გადავიდა და მტერზე უცბათ იერიში მიიტანეს. ბორგთან ხელთ ვიგდეთ ორი ტყვიის მტყორცნელი, ტყვეთ წამოვიყვანეთ 3 აფიცერი და 145 ჯ. კ.

მდ. ვერენიცის მიდამოებში მტერმა იერიში მიიტანა და ღამის 10 საათზე ჟოლკოვას სამხრეთ-დასავლეთით კინაღამ ჩვენი თხრილები არ დაიჭირა, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლით ჩვენ ის უკუ ვაქციეთ. ლვოვის სამხრეთ დასავლეთით ჩვენმა როტამ იერიშით ავსტრიელების ორი როტა ასწყვიტა და ტყვეთ წამოიყვანა 5 აფიცერ, 67 ჯ. კ. და ხელთ იგდო 150 თოფი.

დნესტრის მიდამოებში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 11 ობერ-ოფიცერი, სამი შტაბ-ოფიცერი და 1 ყუმბარის მრქვეველი. ხელთ ვიგდეთ დნესტრის მარცხენა ნაპირზე სუბტო-პერლორლოვის შუა, მტერი შეუმჩნევლათ გადმოვიდა, მაგრამ ჩვენი შეერთებული კონტრ-იერიშით დნესტრისკენ გადაგდებული იქმნა. ამ ბრძოლაში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 7 აფიცერი და 225 ჯ. კ. ბრძოლა გრძელდება.

10 ივნისის ღამე სასტიკი ბრძოლით დასრულდა. მტრის ყველა იერიშები მოგერებულ იქმნა და დიდათ ვაზარალეთ მიკლაშუვას დასავლეთით ორჯერ მოგვიახლოვდა ჯავშნოსანი ავტომობილი ტყვიის მრქვეველით და ორივეჯერ უკუ ვაქციეთ.

დღით მტრის ჯარის ერთმა ნაწილმა დაიჭრა დმიტროვიცი და ჩიჟიკისაკენ გაიწია, მაგრამ ჩვენი ენერგიული კონტრ-იერიშით ბისტრიცის მიდამოებისაკენ გადავუარეთ.

დნესტრიდან მარტინოვის მიდამოებში გადმოვიდა მტრის დიდი ჯარი; სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 38 აფიცერი და 1300 ჯ. კ.

კოსმერჟინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერი მლიერ გამაგრებულია, აქ მათ ახალი ჯარის გადმოყვანა უნდათ, მაგრამ ჩვენ ხელს ვუშლით.

სასტიკი ბრძოლის შემდეგ 10 ივნისს ღამით ამ ადგილებიდან ჩვენ იგინი გავყარეთ და დიდი ნაწილი გარნიზონისა გაუწყვიტეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 2 აფიცერი და 210 ჯარის კაცი.

ზელევიკის ფრონტზე მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. 10 ივნისი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან. მდ. ვილავა და ლაბიაზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

მდ. ნარევის და ვისლის ფრონტზე მოწინავე ნაწილებს დიდი შეტაკება მოუხდათ

ტანევის ფრონტზე სიმშვიდეა.

ჟურავნო-დემეშკოვიცის ფრონტზე სასტიკი ბრძოლა ხდება და ჩვენი გამარჯვებით გრძელდება. კოვარისა და დნესტრის მარცხენა ნაპირებზე გადმოსული დიდი ნაწილი გერმანელების ჯარისა დიდათ დაზარალდა.

ს. მარტინოვო და ს. რუზდაიანისგან გადმოსული დნესტრის მარცხენა ნაპირზე ავსტრიელების ჯარი ჩვენ უკუვაგდეთ, აქ ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 40 აფიც. და 1700 ჯარისკაცი სხვადასხვა პოლკისა. ამ ბრძოლაში დიდი სარგებლობა მოგვიტანა დიდმა და პატარა ზარბაზნებმა.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. 11 ივნისი. ღამის 10 საათზე ჩვენმა ნავებმა შეამჩნიეს, თუ არა მტრის გემი, მსწრაფლ გაეშურენ მათკენ. ღამის 12 საათზე ჩვენი წყალქვეშა ნავი ამოცურდა საუწუხაროთ პერესკომის გაბრუნდების გამო ნავმა ვერ გამოარკვია რა ზარალი მიუტანა მტრის გემებს.

**პარიზი.** ოფიციალური. 11 ივნისი. არასის ჩრდილოეთ მიდამოებში ღამემ მშვიდათ ჩაიარა.

სკალო—დომპერასთან პერონის დასავლეთით გერმანელებმა სასტიკი იერიში მიიტანეს ჩვენ თხრილებზე, მაგრამ შეჩერებულ იქმნენ. არასის მარჯვენა ნაპირზე ცვლილება არ მომხდარა. ჩვენ კვლავ გვიჭირავს გერმანელების თხრილების მეორე ხაზი.

ლოტარინგიაში ლონტრეს მახლობლათ მტრის იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ღამემ მშიდობიანათ ჩაიარა ფეხტის მიდამოებში ჩვენ დავატყვევეთ 25 აფიცერი, 63 უნტერ აფიცერი და 638 ჯარისკაცი.

**ლონდონი.** ოფიციალური. 11 ივნისი, კვირას ჩრდილოეთ ზღვაში დიდი ბრიტანიის კრეისერი „როკომური“ გერმანელების ნაღმებს წააწყდა დი მცირეთ დაზიანდა.

**პარიზი.** ოფიციალური. 11 ივნისი. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე საექსპედიციო კორპუსმა ერთი კვირის განმავლობაში ორი კილომეტრი დაიჭირა სიღრმით 250—200 მეტრი. როგოროც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ჩვენ ბევრი ჯარისკაცი დავკარგეთ, მაგრამ მტერს უფრო მეტი ზარალი მივაყენეთ.

კრიტიის დაღმართში ბრიტანიის ჯარმა 500 კაცი დაატყვევა, მათ შორის 10 აფიცერია.

### კავკასიის ჯარის შტაბიდან.

ზღვის მიდამოებში ჩვეულებრივი სროლაა. ოლტისისკენ მიტანილი ოსმალების იერიში ყველა ფრონტზე მოვიგერიეთ. მელიაზგერტის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა ქალაქი კოპი დაიჭირა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ოსმალეთი.

კონსტანტინეპოლიდან ახლათ დაბრუნებული და გავლენიანი პირი „დეილ ტელეგრაფ“-ში ასე ასწერს ოსმალეთის სატახტო ქალაქის მდგომარეობას: ქალაქში განუწყვეტლივ მოყავთ გალიპოლიის კუნძულიდან დაჭრილები, რომელთა რი-

ცხვიც 80000 კაცს უდრის. კონსტანტინეპოლში გერმანელებმა თოფების დასამზადებლათ რამოდენიმე ქარხანა მოაწყვეს, სადაც დღე ღამე შეუჩერებლათ მუშაობენო. ოსმალეთის ჯარში, განსაკუთრებით არტილერიაში, 20,000 გერმანელი აფიცერი მსახურობს. გალიპოლიის კუნძულზე უმთავრესათ გერმანელები ბატონობენ. ადმინისტრაციაზე კანტროლი მათ ხელშია, ასე რომ თაალათ-ბეის და ენვერ-ფაშას არსებითად არავითარი გავლენა აღარა აქვთ. იტყობინებიან, რომ კონსტანტინეპოლში 20 სომეხი ჩამოახრჩვეს თავისუფალ სომხეთის დაარსების პროპაგანდისთვისაო.

—

ვენიზელოსის გამარჯვება დიდ კომენტარიებს იწვევს ბულგარეთის პოლიტიკურ წრეებში. ზოგიერთის აზრით ვენიზელოსის დაბრუნება მოასწავებს საბერძნეთის პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ოთხთა შეთანხმებისკენ იყო მიმართული და ეს კი ბულგარეთის გამოსვლის მნიშვნელობას შეამცირებსო. მეორენი ფიქრობენ, პირიქით, ბულგარეთის გამოსვლას უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება ოთხთა შეთანხმებისათვის, ვიდრე საბერძნეთისასაო.

**კოპენჰაგენი.** სოფიიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთში მალე ქვა-ნახშირი გამოილევა, რადგან ანატოლიის რკინის გზაზე მოძრაობა თან და თან ჩერდება.

გერმანელები ურჩევენ ოსმალებს ბულგარეთს დაუთმონ ერთი ნაწილი ტერიტორიისა.

**სოფია.** იტალიის სანიტარული რაზმი ბულგარეთიდან რუსეთში გაემგზავრა.

— გერმანელი პროფესორები აიზელბერგი და კრაუსი მატარებლით ათინიდან სოფიაში ჩამოვიდენ. მათ ინახულეს მეფე ფერდინანდი, რომელმაც სადილზე მიიწვია.

**გელსინგფორსი.** ფინლანდიის გენერალ გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილების გამოცხადებით აკრძალა ყველა საზოგადო დაწესებულებში გერმანულ ენაზე ლაპარაკი. დამნაშავეთ სამი თვით ციხეში დააპატიმრებენ და ან 8000 მანეთით დააჯარიმებენ.

**პარიზი.** გაზეთი „ტან“ი აღნიშნავს, რომ მოკავშირეებს დიდი სიმპატია აქვთ სკანდინავიის ქვეყნებისადმი. და საზონოვის ბარტეველდთან საუბრის შესახებ ამბობს:

„რუსის მინისტრის სიტყვები სრულიად სარწმუნოა, რომ რუსეთს არავითარი აგრესიული განზრახვა არა აქვს შვეციის წინააღმდეგ“.

დავეხმაროთ ჩვენ ძმა—აჭარლებს!

თ. დ დ. ო. ნიჟარაძის დახმარებით, ქუთაისის ქალთა ერთი ჯგუფი მართავს

„ფინჯან ჩაის“

ლალიძის აივანზე, თეთრ ხიდთან.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

შემოსავალი გადაიდება აჭარლების სასარგებლოდ.

ქართველებო, ნუ დაიშურებთ თქვენ წვლილს, მოსწმინდეთ ცრემლი ბწუხარების ჩვენ აწიოკებულსა და ომისაგან დარბეულ თანამოძმეთ.

**სტოკჰოლმი.** „სტოკგ. დაგ.“ რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის საზონოვის საუბრის შესახებ სწერს: „სანამ რუსეთი მეგობრულ მეზობლობას დაიცავს და ხელს არ შეუშლის შვედთა და რუსთა ვაჭრობას, მანამ შვედელებიც მეგობრულ განწყობილებას დაიცავენ. მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ შვეციის ხალხი ცოტა არ იყოს უნდობლათ უცქერის მინისტრის აღთქმას, რომლის მიზეზიც უცნობი არ არის ბ. საზონოვისათვისაო.

ბულგარეთის გაზეთ „მირი“-ს ცნობით ამ ჟამათ კონსტანტინოპოლში ჯარის გადმოყვანა მცირდება.

ჯარის ერთი ნაწილი გადაყვანილია ბოსფორისაკენ შავი ზღვის ნაპირებზე ნიაზიმ-ფაშის ჯარის საშველად. ნაწილი გაგზავნილია ადრიანოპოლის გარნიზონის გასამაგრებლათ. დანარჩენი ნაწილი კი დარდანელში. ადრიანოპოლში არის 60000 ჯარის კაცი, ე. ი. ორი სრული კორპუსი. დარდანელში 300,000 ჯარის კაცი სდგას ლიმონ ფონ-სანდერსის და გენერალ გუნფერის უფროსობით. კონსტანტინოპოლის დასაცავათ სდგას 5000 სათადარიგო ჯარის კაცი.

## პოლიტიკური პარტიები გერმანიაში.

**პროგრესიული სახალხო პარტია.**

1910 წ. ამ საერთო სახელით შეერთდა სამი მემარცხენე ლიბერალური პარტია: „თავისუფალი მოაზროვნე სახალხო პარტია“, „შეერთებული თავისუფლათ მოაზროვნე“ და „გერმანული სახალხო პარტია“.

ყველა ესენი ერთ დროს იყვნენ პროგრესიულ პარტიაში, მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური მომენტის გავლენით გამოითიშენ და ცალკე მოეწყვენ. აღიარებენ რა წმინდა ლიბერალიზმის იდეალს, ესენი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკის პრაკტიკულ საკითხში. სოციალ-დემოკრატების გაძლიერების შემდეგ შესუსტებული ლიბერალიზმი ამ პარტიებს ხელმძღვანელთ აიძულებს სასტიკ ზომების მიღებას. ამისათვის სამი პროგრესიული მიმდინარეობა ხელახლათ შეთანხმდა და ახალი შეერთებული პარტია კვლავ გამაგრდა და განავითარა თავისი გავლენა როგორც პარლამენტში, ისე მის გარეშე. პროგრესიული ლიბერალური სახალხო პარტია თავის გარშემო აგროვებს საუკეთესო ლიბერალური ინტელიგენციის და თავისი კულტურული ძალით პირველი ადგილი დაიჭირა პოლიტიკურ პარტიებთა შორის.

ის აღიარებს დემოკრატიულ და ლიბერალურ იდეალებს, სდგას შეერთებულ იმპერიის გაძლიერების გზაზე და მფარველობს მის ფედერატიულ ტიპებს, როგორც კავშირის სახელმწიფოსას. პროგრესიული სახალხო პარტია მოითხოვს: ყველა მოქალაქის თანასწორ მონაწილეობას კანონმდებლობაში, პოლიტიკურისა და სოციალური პროგრესის ხელის შეწყობას; სრულ პოლიტიკურ თავისუფლებას, გერმანულ კაპიტალისა და მრეწველობის გაძლიერებას; საარჩევნო კანონების რეფორმებს, კავშირებისა და პრესის თავისუფლებას, მფარველობითი ბაჟის თანდათან გაუქმებას და ყველა მოქალაქის სწორ უფლებიანობას, სამართლიან განაწილებას სახელმწიფოს გადასახადისას, ეკლესიის განსაკუთრებულ უფლების მოსპობას, ეკლესიის სრულ ხელშეუხებლობას სახელმწიფო საქმეში, დამოუკიდებელ სწავლა-განათლებას და ყოველი პრივილეგიის გაუქმებას. პროგრესიული სახალხო პარტიის მიზანია სოციალურ წინააღმდეგობის მშვიდობიანი გზით გათანასწორება და მოითხოვს დღევანდელ უპასუხისმგებლო სამინისტროს იმპერიის პასუხისმგებელ სამინისტროთ შესვლას. ამ პარტიას აქვს ვრცლათ შემუშავებული პროგრამა მუშათა კანონმდებლობისა და მათი ეკონომიური სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა ქალთა საკითხში პროგრესიული სახალხო პარტია აღიარებს ქალთა უფლების თვალსაჩინო გაფართოებას. ამ პარტიას მხარს უჭერს დიდი ლიბერალურ პრესის უმრავლესობა; „Berlln Tageblat“ „Frankfirter Zeitung“ და „Vossische Ztg“.

დღეს დღეობით ამ პარტიისა ჰყავს პარლამენტში ფრაქცია 42 კაცისაგან შემდგარი. 1903 წ. ჰყავდა 36 დ. 1893—38 დ. 1890 წ.—76 დ. 1910 წ.—49 დ.

**დემოკრატიული შეერთება.**

ბიულოვის კანცლერობის დროს, როდესაც ლიბერალები შევიდნენ მთავრობის ბლოკში· 1908 წ. „თავისუფალ მოაზროვნე“ პარტიას ჩამოშორდა მემარცხენე ჯგუფი, რომელიც მხარს უჭერდა პროგრესიულ სახალხო პარტიის პროგრამას და თავის ტაქტიკით ზოგაერთ საკითხში უახლოვდებოდა ს. დ-ბს.

მთელი პროგრამა შეერთებულ დემოკრატიისა შესდგება შემდეგი მოთხოვნილებისაგან: დაარსება სრული თვითმმართველობისა, კოალიციური უფლება მუშათა და მოსამსახურეთა, ყველა კლასის სწორ-უფლებიანობა, ზგრეთვე სარწმუნოების, ეროვნების, პარტიებისა და ორივე სქესის საყოველთაო, სწორი და ფარული სასრჩევნო უფლება, როგორც ცალკე სახელმწიფოთა, ისე იმპერიისა, ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება.

საპარლამენტო ფრაქცია ჯერ ამ პარტიას არ ჰყავს.

**განზეიის კავშირი.**

უკანასკნელ წლებში ლიბერალიზმის შესუსტებით და ფინანსიური რეფორმების გავლენით, რომლითაც შემოიღეს არა პირდაპირი გადასახადი, გამოირკვა, რომ ვაჭრობა-მრეწველობას და მის მონაწესავე დარგებს შესაფერი გავლენა არა აქვთ სახელმწიფო ცხოვრებაზე.

გერმანიის ეკონომიური პოლიტიკა იმყოფება კონსერვატიულ პარტიების და „სოფლის მესაკუთრეთა კავშირის“ გავლენის ქვეშ.

წინააღმდეგ ასეთი პოლიტიკისა 1909 წ. დაარსეს „განზეიის კავშირი“. განზა არის სახელწოდება საშუალო **საუკუნის** თავისუფალ მოვაჭრე დიდი ქალაქებისა. და „განზეიის კავშირის“ წოდებით ხაზი გაუსვეს, რომ იცავენ ქალაქის მცხოვრებთა ინტერესებს და ებრძვიან „აგრარულ დემაგოგიას სოფლის მესაკუთრეთა კავშირისას“.

განზეიის კავშირი დარწმუნებულია, რომ თანამედროვე სახელმწიფო შესძლებს განმტკიცებას და განვითარებას, მხოლოდ ყველა წოდების სწორ-უფლებიანობის საფუძვლეზე და როგორც ვაჭარ-მრეწველთა, ისე სასოფლო მესაკუთრეთა ინტერესების ერთნაირი დაცვით.

განზეიის კავშირი თუმცა აერთებს ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენლთ და ქალაქის მცხოვრებთ [illegible] წმუნოების განურჩევლათ, თავისთავათ არ წარმოადგენს [illegible] პარტიას; მას აქვს წოდებრივ-ეკონომიური კავშირს ხასიათი, რომელიც ესწრაფვის ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზნისაკენ. ორი წლის არსებობის შემდეგ ამ პარტიამ მიაღწია იშვიათ განვითარებას და დღეს დღეობით ჰყავს 300000 წევრი.

უკანასკნელ არჩევნების დროს პარლამენტში ის მხარს უჭერდა მხოლოდ იმ კანდიდატებს, რომელნიც წერილობით აღუთქვამდენ მათი ძირითადი იდეიების გატარებას.

განზეიის კავშირმა შეაერთა ყველა მემარცხენე პარტია—ეროვნულ ლიბერალებიდან დაწყებული „შეერთებულ დემოკრატიამდე“.

**იმერელი ქალი.**

## სოხუმის საქალაქო არჩევანი.

სოხუმიდან ხმები მოდის, რომ იქაურ საქალაქო არჩევანის გარშემო, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს, კვლავ ასტყდა განგაში და მავნე მოქმედება ზოგიერთ პირთა. სოხუმი, როგორც ერთი განაპირათაგანი ჩვენის ქვეყნისა, მუდამ ქართულ ინტერესთა პირველ რიგში იდგა. ცხადია, ქართულ პრესას არც ეხლა შეუძლიან უყურადღებოთ დასტოვოს იგი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ბრძოლა, რომელიც იქ სწარმოებდა მთელი ოცდა ათი წელიწადი ქართულ და სხვა ელემენტთა შორის მეტ-ნაკლებობით ჩვენთვის სასურველათ დამთავრდა. ჩამოვარდა ერთგვარი ზავი და შეთანხმება. მოწინააღმდეგენი მიხვდნენ, რომ სასარგებლო და შედეგიანი მოღვაწეობა მხოლოდ ქართველებთან შეთანხმებით თუ შეიძლება. ეს არის მიზეზი, რომ უკანასკნელი არჩევანი სოხუმის საქალაქო ხმოსნებისა „ყველა ეროვნებისათვის სასურველათ მოხდა“ — როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს. ქალაქის თავის კანდიდატურაც შეთანხმებით იქმნა დასახელებული და ასეთ კანდიდატათ ჩაითვლება ამ ჟამათ თავ. ნ. თავდგირიძე, რომლის ღვაწლი ქალაქ სოხუმისადმი ხანგრძლივი და ფას დაუდებელია.

ჩვენ ზევით სხვადასხვა ელემენტთა შორის შეთანხმებაზედ ვილაპარაკეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შეთანხმებას იზიარებენ და უნაკლულოთ ყველანი; სამწუხაროთ აღმოჩნდა ერთი ჯგუფი, მართალია მცირე-რიცხოვანი, რომელიც საზოგადო საქმეს აფერხებს და თავის

## გმირი ქალი, მათე უაჩალად წოდებული.

**(მე 18 საუკუნის საქართველოს ისტორიიდან).**

(დასასრული იხ. № 102 და 103.)

გავიდა მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი. განგებამ კიდევ მისცა მაიას შემთხვევა ენახა პირის-პირ მეფე ერეკლე და მოეხსენებინა მისთვის ის გულის სევდა, რომელიც უდანაშაულო დედაკაცს ძალიან აწუხებდა და აშფოთებდა.

ერთხელ მეფე ერეკლე თავის ამალით შემთხვევით ეწვია იმ მიყრუებულ სოფელს, სადაც მაია ცხოვრობდა მამაკაცის სახელით.

სოფლელებს ძალიან იამათ სახელგანთქმული მეფის მობძანება. დიდის ამბით მიეგებენ მას. შემდეგ როცა ერეკლემ წასვლა დააპირა, მთელმა გლეხობამ ღრმა სიყვარულის ნიშნად მოისურვა მისი გაცილება სოფლიდამ. ხალხს გაჰყვა შეიარაღებული მათეც.

მეფემ ამ ბრბოში ვერ იცნო თავისი ერთგული ყმა. რაინდი მათე ამ დროს მათე უკვე ხანში შესული იყო და სახის მეტყველებაც გამოსცვლოდა.

გზაში სრულიად მოულოდნელათ ერეკლეს დახვდენ მტრები. გმირმა მათემ კიდევ იჩინა თავი. ჯერ გაისროლა თოფი, რომელიც მუდამ გატენილი ჰქონდა და შემდეგ ხმალ და ხმალ მიესია მტრებს. ამ გაბედულობით წაქეზებული სხვებიც მიეშველნენ მათეს და მტრის გუნდი ძალიან მალე გაფანტ-გამოფანტეს, ბევრიც დახოცეს...

ამგვარად მათეს წყალობით მეფე ერეკლე განთავისუფლდა მოულოდნელ განსაცდელისაგან...

ამ უცნობი გლეხკაცის გმირობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე და მის ამალაზედ. გატაცებული უსაზღვრო სიხარულით ერეკლემ მაშინვე მოიხმო თავისი მხსნელი და მადლობის გადახდის უმალ ჰკითხა: „ძმობილო, ვინა ხარ შენ ეგეთი გმირიო?“

მაშინ გულდამწვარმა მათემ ერთი ღრმად ამოიოხრა და ნაღვლიანი ხმით ასე უპასუხა ერეკლეს: „მე გახლავარ მეფისაგან დევნილი მათე... თქვენ, დიდებულო, მოსაკლავად დამდევდით და აი ახლა თქვენს ხელთა ვარ. გნებავთ, მომკალით, გნებავთ, სიცოცხლე მაჩუქეთ და ცოცხალი დამარჩინეთ. დიდიხანია მინდოდა მენახეთ თქვენ პირის-პირ; ვეძებდი შემთხვევას, და აი ღმერთმა ისმინა ჩემი ვედრება და მომცა საშუალება მეთქვა თქვენთვის ჩემი გულის პასუხი...

ბატონო მეფევ!.. ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემ **ყაჩაღებში მე არა ვარ დამნაშავე**. მე პირადი მტრები დავხოცე და ამით თავი გადავირჩინე სიკვდილისაგან. აბა, დიდებულო, ამის შემდეგ როგორღა მოვსულიყავი თქვენთან. დიახ, თრიალეთში აქამდი რომ კაცები იცარცვებოდენ, ეს ჩემი ბრალია. ის ყაჩაღი სწორედ მე ვიყავი.. ამასთანავე გიცხადებ, ბატონო მეფევ, რომ **მე დედაკაცი ვარ** და არა მამაკაცი, სახელი ჩემი მაია, გლეხის შვილი ვარ სოფელ წუნეთიდამ..

ამ ამბის გაგონებამ მეტად გააკვირა მეფე ერეკლე. იგი გოლცებული დიდხანს სდუმდა და სევდით შეპყრობილი უყურებდა იშვიათ მეომარს და თავის მახლობელ ერთგულ მათეს... იქ დამსწრე დიდკაცობას გაახსენდა ამ გმირი დედაკაცის ღვაწლი სამშობლოს წინაშე და მოწიწებით უმზერდა მას. მეფემაც დააფასა მათეს გასაოცარი რაინდობა, მისი ერთგულობა და აპატია ყოველი დანაშაული.. ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია ამ სახელოვან ქართველ ქალს.

სპარსელები დასცემიან საქართველოს; ომში გაწვრთნილი მაია მაშინვე გამზადებულა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დროს მას ეცვა ქალური ტანისამოსი; იმ დღიდამ, როცა მაია წუნეთელმა საჯაროთ მეფის წინაშე თავისი ვინაობა გამოაშკარავა, მან აღარ მოისურვა მამაკაცური ტანისამოსით სიარული.

სპარსელებთან ერთ-ერთ ბრძოლაში ბედმა უმტყუნა მაიას და იგი ტყვედ ჩაუვარდა მტრებს. მაია წაიყვანეს სპარსეთში, მაგრამ გზიდამ გამოიპარა და ჩქარი ნაბიჯით გამოეშურა საქართველოსაკენ...

სამწუხაროდ, სამშობლოსათვის წამებულმა მაიამ სახლამდი ვერ მიაღწია და იგი ხანჯლით სასიკვდილოთ დასჭრეს სპარსელებმა ერევნის ახლოს...

უპატრონოდ დარჩენილმა მაიამ მალე დალია სული უცხო მხარეში.

ერთი ხალხური ლექსი ასე გადმოგვცემს მაიას უკანასკნელ დღეს:

„შარაზედ იწვა უძრავად
ხანჯლით დაჭრილი ქალია,
მომმეთა ნახვას ნატრობდა
**თბილელი** გმირი მაია...
ბედმა უმტყუნა საბრალოს,
არ აუსრულდა წადილი,
ერევნის ბოლოს დიაცსა
მოხადეს ლეჩაქ მანდილი...

ასე ტრაღიკულად გაათავა თავის მღელვარებით სავსე ცხოვრება ამ არა-ჩვეულებრივმა ქართველმა გლეხის ქალმა...

V.

მეტად საინტერესოა ჩვენთვის ვიცოდეთ, თუ როდის მოხდა ეს ამბავი? ან რომელ ომში მიიღო უკანასკნელად მონაწილეობა მაიამ?..

ჩვენ გვაქვს საშუალება აღვადგინოთ გმირი მაიას უკანასკნელი დღენი იმ ლექსების შემწეობით, რომელიც ქართველ ხალხში დარჩა.

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში სწერია შემდეგ:

ამბავი ესე მომხდარა—
სპარსი დაეცა ქართველსა,
დაჰკრა ბუკი და ნაღარა;
ქალაქ ერევნის ახლოსა
მაია დაატყვევესა,
არ დაუფასეს გმირობა
სპარსეთში გააგზავნესა...

აქედან ცხადათ სჩანს, რომ მაია წუნეთელს უბრძოლია იმ სპარსელ ჯარის წინააღმდეგ, რომელიც გამოიგზავნა საქართველოში „დაკოდილი“ ყაენის ბძანებით.

ნეტა ვინ უნდა იყოს ეს ყაენი?..

რამდენათ მე-18 საუკუნის სპარსეთის ისტორია გადმოგვცემს, „დაკოდილი ყაენი“ უნდა იყოს ის საშინელი და სასტიკი ბძანებელი სპარსეთისა, რომელმაც 1795 წელს, 11 ენკენისთვეს, ააოხრა და მიწასთან გაასწორა საქართველოს დედა ქალაქი თბილისი.

ეს დაკოდილი ყაენი, ეჭვს გარეშეა, არის აღა-მაჰმად ხანი.

მართლაც, იგი ყმაწვილობაშივე გაასაჭურისეს ნადირ-შაჰის დროს.

ამ გარემოებამ არა-სასურველი გავლენა იქონია, როგორც აღა-მაჰმად ხანის სულიერ ვითარებაზე, ისე მის გარეგნობაზედაც... გაუბედურებულ ყმაწვილი კაცის გულში დაიბუდა ბოროტებამ და შურისძიებამ...

ეს გრძნობები წლითი-წლობით ვითარდებოდნენ და ბოლოს მიიღეს კაცობრიობისადმი მძულვარების ხასიათი.

გარეგნობით აღა-მაჰმად ხანი იყო ხმელხმელი, დაბალი ტანის და დამჭკნარი სახის კაცი. მისი ღრმად ჩაცვენილი და სისხლ-მორეული თვალები საშინელ შთაბეჭდილებას სტოვებდენ ადამიანზე. ამ თვალებში, როგორც სარკეში, იხატებოდა მტარვალობა, დესპოტობა... მართლაც, აღა-მაჰმად-ხანმა არ იცოდა არც კაცთმოყვარეობა, არც ვისიმე შებრალება.

„დაკოდილი“ ყმაწვილი კაცი ცხოვრობდა ნადირ-შაჰის სასახლეში და ჯავრს იმით ყრილობდა, რომ ძვირფას ხალიჩებს და ხალებს თავისი ბასრი დანით სჭრიდა ჩუმად. ამ დროს მას მეტი შურის ძიების გადახდა არ შეეძლო...

მიუხედავათ ასეთი თვისებისა და საშინელი გარეგნობისა, აღა-მაჰმად ხანი იყო მეტად ნიჭიერი და ჭკვიანი კაცი; ჰქონდა მას მაგარი და შეუდრეკელი ხასიათი.

აი სწორედ ეს ყაენი შეიქმნა ქართველების მოსისხლე მტრად.

ავიდა თუ არა სამეფო ტახტზე, აღა-მაჰმად-ხანს მაშინვე გაახსენდა, რომ საქართველომ აღიარა რუსეთის მფარველობა და სპარსეთთან შესწყვიტა ყოველივე კავშირი.

იგი ამ გარემოებას ვერ შეურიგდა და განიზრახა დაებრუნებინა საქართველო. ამ ქვეყანას შაჰი სთვლიდა სპარსეთის სამეფოს ერთ-ერთ ნაწილად... მისი აზრით, საჭირო იყო ქართველების დასჯა, როგორც სპარსელთ მოღალატეებისა... ვიდრე დიდ მხედრობას შეაგროვებდა და ამ ძალით საქართველოს გაანადგურებდა, მან ჯერ გამოგზავნა ჩვენი დასაშინებლად თავისი მოწინავე რაზმი, ავანგარდი. ამ ჯარს უნდა აეღო ქალაქი ერევანი. ეს ქალაქი საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და მეფე ერეკლეს ხარკს აძლევდა.

აღა-მამად ხანის განკარგულებით, სპარსელებს ეს ქალაქი უნდა ქართველებისათვის წაერთმიათ...

მეფე ერეკლე არ შეუშინდა შაჰის მუქარას და მაგრად დაუხვდა მას. მან მაშინვე გაგზავნა კარგად მომზადებული მხედრობა; გარდა ამისა მეფეს რუსეთის იმედიც ჰქონდა.

ერევნის ახლოს ქართველები შეხვდნენ სპარსელებს. მოხდა აქ საშინელი სისხლის ღვარა. ორივე მხარე მედგრად შეებრძოლა

ოპოზიციას წმინდა შავრაზმულ ტაქტიკაზედ აფუძნებს. უფრო სამწუხარო კი ის არის, რომ ამ შავრაზმულ ჯგუცს მიეკედლენ სოხუმელი ზოგიერთი ქართველები და მკაცრ წინააღმდეგობას უწევენ თავ. ნ. თავდგირიძეს. საქმის მდგომარეობა სრულებით ნათელს არ ჰყოფს, რა აქვს მიზნათ ასეთ წინააღმდეგობას. და ეს იმიტომ, რომ მათ მიზანი არავითარი არა აქვთ. ნამდვილათ კი თავ. ნ. თავდგირიძის წინააღმდეგ გამოსვლას და მის კანდიდატურის გაბათილებას შეიძლება ის მოჰყვეს, რომ ქართული კანდიდატურა აღარც კი იქმნეს წამოყენებული. ნუ თუ ამას ელტვიან ბატონი მოწინააღმდეგენი?

სოხუმის შეგნებული საზოგადოების მოვალეობაა, ამ მცირე რიცხოვან ინტრიგანებს, რომელთაც არავითარი საზოგადო ინსტიქტი არ ამოქმედებს-უდრეკათ დახვდეს. ქვედა სურვილები ამ ინტრიგანებისა დათთგუნვილი უნდა იქმნეს, რადგან ამას მოითხოვს თვით ქალაქ სოხუმის ინტერესები.


დავეხმაროთ ჩვენ ძმა—აჭარლებს!

თ-დ დ. ო. ნიჟარაძის დახმარებით, ქუთაისის ქალთა ერთი ჯგუფი მართავს

„ფინჯან ჩაის“

ლალიძის აივანზე, თეთრ ხიდთან.

დასაწყისი შუადღის 12 საათზე.

შემოსავალი გადაიდება აჭარელთა სასარგებლოდ.

ქართველებო, ნუ დაიშურებთ თქვენს წვლილს, მოსწმინდეთ ცრემლი მწუხარების ჩვენ აწიოკებულსა და ომისაგან დარბეულ თანამოძმეთ.


## „ერთი ფინჯანი ჩაი!“

დღეს ქუთაისში თავ. დ. ო. ნიჟარაძის დახმარებით ქართველ ქალთა ერთი ჯგუფი ჩვენ დაზარალებულ მოძმეების აჭარელთა სასარგებლოთ „ჩაის“ მართავს.

ერთი ფინჯანი ჩაი!

დღეს მე და თქვენ, მკითხველო, ვეწვევით ლალიძის აივანს რიონის პირად და შევსვამთ ჩაის!

იქ, სადაც რიონი აგორებს თავის ქვებს, ჩაის სურნელება დადგება!

მაგრამ მართალი არ არის, რომ „ჩაის მარტო ფინჯნებით დავლევთ...

დღეს ჩვენ მოვიგონებთ წარსულ დღეებს, მოვიგონებთ მამა-პაპურს ლხინს და

— ჩაის ყანწებით შევსვამთ!..

ჩაი-ყანწებით!

წარმოგიდგენია, რა დიდი უნდა იყოს ის სამოვარი, რომელიც გაძღებს მთელ ქუთაისს?

მთელს რადგანაც მთელი ქუთაისი აქ იქნება.

მას ვერ შეედრება ვერც ერთი ქური ღვინის საქართველოში, ვერც ერთი საარაყე ქვაბი!

მაგრამ ყველაზედ სასიამოვნო ის არის, რომ აჭარელთა სასარგებლოთ ფულის მოგროვება ჩაის გაყიდვით ხდება.

ეს ხალხი მხოლოდ ჩაისა, ყავასა სვამს.

მაგონდება ერთი სურათი! ქართულ დრუჟინის ცხოვრებიდან:

თებერვლის პირველ რიცხვებში აჭარის ერთ სოფელში მივედით. თოვლი მოდიოდა. დილის ექვსი საათი იყო, გვსურდა გავმთბარვიყავით.

ამ უბრალო სოფელში ყავახანა აღმოჩნდა, სადაც აჭარლები ჩაით გაგვიმასპინძლდენ.

ჩვენ ბევრნი ვიყავით-მთელი ასეული, მაგრამ აჭარლებმა ყველასათვის მოახერხეს თითო ფინჯანი ჩაი.

დღეს ისინი არიან ჩვენი სტუმრები.

გონების თვალით ჩვენ დავინახავთ მშიერს, მწყურვალს, დამწვარს და დატანჯულ აჭარას.

დღეს ისინი უხილავათ ჩვენთან ისხდებიან, ჩვენს მაგიდაზე.

რიონი დაემსგავსება აჭარის წყალს, ქუთაისის მიდამოები აჭარის ლამაზ მთებს და ქუთაისი-პატარა სოფელს ქედას, სადაც ქართულმა დრუჟინამ მაშინ ჩაი დალია და როგორც მაშინ აჭარლები ქართველებს იგონებდნენ, მათზე ლაპარაკობდნენ-ისე დღეს ქუთაისელები აჭარლებს მოიგონებენ, მათზე ილაპარაკებენ!..

— ა.

## დ ე პ ე შ ი.

**ქუთაისი. „სამშობლოს“ რედაქციას კავკასიის ფრონტიდან.**

ცხარე და დიდებული ბრძოლის შემდეგ თხრილებიდან მხგავსად ძვირფას სამშობლოს მამაც მამა-პაპათა, გიგზავნით სალამს ყველა ნაცნობთა და მეგობრებს.

**იოსებ მიქაბერიძე და დავით ჭიჭინაძე.**

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ ჩვენი გაზეთის ნომერში მოთავსებულია ლ ხმალაძის წერილი, რომელშიაც შეგვეპარა შეცდომა: სწერია—32 მამულზე ითვლება თავნი ვალი-4,140 მ. 52 კ.; უნდა იყოს—**ითვლება თავნი ვალი 41,408 მ. 52 კ.**

სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტმა ყველა სამეურნეო სასწავლებლის საყურადღებოთ განკარგულება გამოსცა, რომ უფროსი კლასის მოწაფეები გაგზავნონ სოფლად ჯარში გაწვეულ მეომართა ოჯახების დასახმარებლათ და ყანა-ვენახების დასამუშავებლად.

✦ დღეს შავი-ქვის საბჭოს დარბაზში დილის 11 საათზე მოხდება ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების საზოგადო კრება. განსახილველათ დანიშნულია შემდეგი საკითხები: 1) სამი უკანასკნელი წლის ანგარიშების განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) გამგეობის მოხსენება სხვა და სხვა საკითხებზე; 4) 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება და 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა.

✦ ქართველ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ბ. ილარიონ ოტიას ძე გამყრელიძემ გადასცა მუზეუმში შესანახათ ერთი ძველი ოქროს ძველებური ჯვარი.

✦ დღეს, 14 ივნისს, დილის 12 საათიდან მ. ლალიძის აივანზე თეთრ ხიდთან, დარბეულ აჭარლების სასარგებლოთ, ქუთაისის ქართველ ქალთა ერთი ჯგუფი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ო. ნიჟარაძის დახმარებით, გამართავს „ერთ ფინჯან ჩაის“. გაიმართება აგრეთვე ლოტოის თამაში და სხვა.

✦ წელს დონის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტი დაასრულა ტ. ჟაფარიძემ.

✦ ქუთ. სამეურნეო სასწავლებლის გამგეობამ დაადგინა: გაგზავნოს თავისი მოწაფეები ოკრიბასა და სხვა სოფლებში, რომელნიც თავისის შრომით დახმარებას აღმოუჩენენ ომში წასულთა ოჯახებს.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილის“ მე-5 ნომერი. ნომერი ჩვეულებრივ კოხტა და შინაარსიანია.

✦ დღეს, 14 ივნისს, ქალაქის თეატრში ალ. იმედაშვილის რეჟისორობითა და მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „ოტელლო“.

✦ როგორც ხარაგოულიდან გვწერენ, მუდმივი წვიმების გამო ყანებს ძლიერი ცუდი პირი უჩანს. ვენახს ძლიერ ცოტა ასხია. ბევრს ვენახისათვის არ უწამლია.

✦ ქუთაისის რკინის გზის სადგურის გამგეობამ დაადგინა ტყიბულისაკენ დანიშნოს მეორე მატარებელიც. ეს დადგენილება სისრულეში ამ დღეებში მოვა. მატარებლები დილა-საღამოთი ივლიან.

✦ ხვალ, 15 ივნისს, ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაირჩევა გრიგოლ თურმანიძისა და მიხეილ კუტუბიძის საქმე.

✦ ბაზრის ზედამხედველმა ი. გელოვანმა კლუბის შესახვევში ოქმი შეუდგინა მოვაჭრე ატანკიანცის დილით ადრე სოფლელი გლეხებისაგან რამდენიმე ტომარა ლობიოს ყიდვისათვის.

✦ ქუთაისის ბაზარზე სოფლებიდან აბრეშუმის ჭიის პარკი უკვე შემოვიდა. პარკი 10—11 მანეთად გაიყიდა. ჯერ მსხვილი მყიდველები არ სჩანან.

## თბილისი.

**ინციდენტი.** ამ რამოდენიმე დღის წინად თბილისის პოლიცმეისტერმა, ბ-ნმა ზდანოვსკიმ, წერილობითი მოხსენება წარუდგინა თბილისის გუბერნატორს იმის შესახებ, რომ დიდი ნიაღვრების დროს ქალაქის გამგეობამ შესაფერისი მოქმედება ვერ გამოიჩინა. გამგეობამ ზოგიერთი ადგილი მოხსენებისა გადაჭარბებულად მიიჩინა და ამისგამო გუშინ, 12 ივნისს, ბ-ნ გუბერნატორს საჩივარი მიართვა, რომელშიაც ამბობს, რომ პოლიცმეისტერს ზოგი ისეთი ფრაზები აქვს ნახმარი, რომლებიც ოფიციალურ ქაღალდში შეუძლებელია და ამასთანავე პოლიცმეისტერს კანონი უფლებას არ აძლევს კრიტიკულად შეეხოს ქალაქის თვითმართველობის მოქმედებასო. ამისათვის გამგეობა სთხოვს გუბერნატორს დაიფაროს იგი პოლიცმეისტრისაგან.

**დიდი სამხატვრო-სამუსიკო საღამო.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოება დღეს, 13 ივნისს, სახაზინო თეატრში ფრიად საყურადღებო სალიტერატურო-სამხატვრო საღამოს მართავს. პროგრამა დიდის დაკვირვებით არის შედგენილი და მრავალმხრივია. საღამოს დიასახლისებად არიან: გეორგარ ხანუმ პრინცესსა კაჯარი და კნეინა ელისაბედ ერეკლეს ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. როგორც ვიცით, ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დიდი დახმარება აღმოუჩინა ბათომის ოლქში ომიანობისაგან დაზარებულ ჩვენს მოძმეებს. საზოგადოება ყოველ ღონეს ღონობს, რომ თავისი მოქმედება უფრო გააფართოვოს. ამიტომ იმედია ქართველი საზოგადოება განსაკუთრებულს და დიდს ყურადღებას მიაქცევს საქველმოქმედო საზოგადოების მაღალს მიზანს და დღევანდელ საღამოზე დასწრებით [illegible] ჩვენ მოძმეთა დასახმარებლად [illegible] იყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

—ახალი წიგნი **„სამაჰმადიანო საქართველო“.** ჩვენ სტუდენტობას ფრიად მოსაწონი საქმე განუზრახავს—გამოცეს წიგნაკები სამაჰმადიანო საქართველო და მაჰმადიან ქართველების შესახებ. ეს დიდი ხანია გასაკეთებელი იყო და სასიამოვნოა, რომ ეხლა მაინც ეღირსება ქართველი მკითხველი ასეთს წიგნებს. სტუდენტების მიერ განზრახულ სერიის პირველ წიგნაკებში დაიბეჭდება უმთავრესად იმ დროინდელი წერილები, როცა ბათომის მხარის, მაჰმადიანი ქართველობა შემოუერთდა საქართველოს. შემდეგ დაიბეჭდება ჩვენი დროის მწერლობის ნაწერები. პირველ წიგნაკში მოთავსებულია ნ. მარრის, პ. უმიკაშვილის და ი. ჭავჭავაძის წერილები. წიგნი სუფთადაა გამოცემული და ღირს აბაზად.

### ზ ო რ ი.

—**ს. ქორელი და აჭარლები.** აჭარელთა უნუგეშო მდგომარეობამ აქ გულწრფელი და ღრმა თანაგრძნობა გამოიწვია. აქაურებმა დიდხანს ითათბირეს იმის თაობაზე, როგორ აღმოუჩინონ დახმარება დაზარალებულ-თვის მოძმეებს და დაადგინეს, 13 ივნისს გამართოს სალიტერატურო საღამო ცეკვით. საღამოს მოთავეებად არიან კნ. ს. ციციშვილი და ქნი თ. ფილიშვილი, რომელნიც მხნედ მუშაობენ. იმედია, ხალხი დიდის ხალისით დაესწრება ამ საღამოზე.

ნ. „ს. გ.“ და „სქ.“.

## სიმშილობის გამო,

**(ჩვენს სამღვდელოებას).**

საქართველო დამშეულია. არსად მოიპოვება ჩვენში ისეთი კუთხე, სადაც ხალხი სიმშილობის ბრჭყალებში არ იწურებოდეს. ესეც რომ არ ყოფილიყო, ომისაგან გამოწვეული გასაჭირიც აუტანელ ბარგად აწვა ჩვენს ხალხს.

მდგომარეობა მეტად გამწვავდა. ჩვენი რჩეული ძმები და შვილები ათასობით ეწირებიან ომის ღმერთს; თვით სამშობლოში კი დიდის მკერდზე სიმშილისაგან სულს ლევენ უსუსური ბავშვები მხოლოდ ტირილი გაისმის ჩვენს ირგვლივ. ნუგეშის-მცემი არვინ არის და თვითონ ჩვენ თუ არ უწინამძღვრეთ ჩვენს საქმეს, ხელს არვინ დაგვაფარებს.

ასეთ დროს ყოველი ქართველი ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს საერთო გასაჭირის შესამსუბუქებლად. ბევრმა შეიგნო ეს ჭეშმარიტება და კიდეც მუშაობს ხალხის საკეთილდღეოთ და თავის სასახელოდ. ჯერი მადგა ჩვენს სამღვდელოებაზეც.

ძველ დროში, როცა საქართველო გასაჭირში იმყოფებოდა ხოლმე, ჩვენი სამღვდელოება შეუდრეკელ ენერგიას იჩენდა. დღეს ჩვენს სამღვდელოებას მათი წინაპრებივით სასწორზე თავის დადება არ სჭირია. დღევანდელი მათი როლი მათთვის არარის ძნელი შესასრულებელი და ხალხისათვის კი ციდან მოვლენილი მანანა იქნება. სამწუხაროდ, ომის შავი ხანას განმავლობაში ამ წოდებას ხალხის დასაჩენად არაფერი გაუკეთებია*) დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ყოველ მათგანს ენდომება ხალხის სამსახური.

მოახლოვდა დრო დრამის ფულის გადახდევინებისა. დღეს, როცა ყოველ გლეხის ოჯახს უკანასკნელი კაპეიკი დიდ ფულად მიაჩნია, დრამის გადახდა დიდ კვალს დააჩენს ყოველ ოჯახს. არა თუ დღეს, ბევრს უწინაც უჭირდა ასეთი მოზრდილი ბეგარის გადახდა და დღეს რომ ის ძალით ამოგლიჯონ დამშეულ ოჯახებიდან, მიუტევებელი ისტორიული ცოდვა იქნება.

ზოგიერთი ჩვენს მღვდლებს უკვე დაებადათ ის აზრი, რომ თავიანთ მრევლს წელს დრამის ფული არ გადაახდევინონ (მაგ. სამეგრელოში მ. ნ. სასანიას). სამღვდელოება ჩვენში შედარებით ისე არ არის გაჭირვებული, როგორც სოფლის მუშა—გლეხი, ამისათვის კარგს ინებებენ თუ ერთი წლის დრამას ხალხს შეაწევენ, ხალხს კი ეს დიდათ დააჩნდება. ამაზე უთითებს ჩვენს სამღვდელოებას დღევან-

*) როგორც ყ—დ სამ. ეპისკ. ლეონიდის წერილიდან სჩანს („სამშ.“ № მღვდლებსაც თავისი წვლილი გაუღიათ. იხილეთ ბლ. ვ. ჯაფარიძის წერილი „სამშ.“ 108 **რედ.**

ერთი-ერთმანეთს... ბრძოლამ დიდხანს გასტანა და ბოლოს გათავდა ქართველი ჯარის გამარჯვებით. მტერი დამარცხდა და ერევანს თავი დაანება.

ამ დროს, როგორც სჩანს ხალხური ლექსებიდან, გმირი მაიაც, უკვე ხანში შესული, აქ ყოფილა. ბრძოლის ველზე მან ჩვეულებრივად გამოიჩინა თავისი სიმარდე და მამაცობა... მტრები პირდაპირ გააკვირვა... სპარსელების სარდლებმა გასცეს ბძანება, რომ ეს გულადი დედაკაცი როგორმე ცოცხლად დაეჭირათ... ასეც მოხდა. გამარჯვებით გატაცებული მაია მოშორდა კარგ დიდ მანძილზე ქართველ ჯარს და მოულოდნელათ ტყვეთ ჩაუვარდა მტერს... მაშინვე თოკებით მაგრათ შებოჭეს მეომარი დედაკაცი და სპარსეთს გაგზავნეს... ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა და შეაშფოთა მაია, მაგრამ მრავალი უბედურების მნახველი გმირი ქალი სასოწარკვეთილებას არ მიეცა. გზა-გზა სულ იმაზე ფიქრობდა, რომ მტერს როგორმე გამოქცეოდა და სამშობლოში დაბრუნებულიყო... გამბედავმა მაიამ ეს ოცნება მალე სისრულეში მოიყვანა. მან ისარგებლა მოსწრებული შემთხვევით და, როგორც წინად ვთქვი, ტყვეობიდან გამოიპარა.

ხალხური ლექსი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

გულით მაგარი დიაცი
არ შეუშინდა განსაცდელს,
გზაში დახოცა მცველები
და მიაღწია საწადელს...
გახარებული გამორბის,
ესწრაფვის მშობელ მხარესა,
უნდა რომ მალე ეწვიოს
თვის აღმზრდელ არე-მარესა.
მაგრამ უმუხთლა საბრალოს
ტიალმა წუთისოფელმა,
ვერ მიაღწია სახლამდე
უბედურების მნახველმა.
გზაში მოუსწრო სიკვდილმა,
ტანჯული სული დალია.
მოუკვდათ ბეჩავ გლეხებსა
მათი დამცველი მაია.
ტრიალ მინდორზე ობლადა
მაია ასაფლავია.
ციდამ მის საფლავს ანათებს
კაშკაშა მზისა სხივია...

### VI

მაია წყნეთელის სიკვდილის შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, მაგრამ მისი ხსენება ჩვენ ხალხში დიდხანს არ დავიწყებულა; განსაკუთრებით მაიას სახელს მოწიწებით იხსენიებდენ ქართლში.

აქ ერთ დროს ყოველ ღონიერ და ბუნებით მამაც ქალს შეამკობდენ ხოლმე მაია წყნეთელის სახელით.

— „შეხედეთ ერთი, იმ დალოცვილს, ნამდვილი მაია წყნეთელი არ არისო!“ ამბობდნენ ხოლმე ქართლელები, როცა დაინახავდნენ ფიზიკურად ძლიერ და გამბედავს დედაკაცს.

ცხადია აქედან, რომ მაიას ისეთი დიდი ხსოვნა დაუტოვებია ხალხში, რომ მისი სახელი საზოგადო სახელად ქცეულა. **გამბედავი დიაცი** და **მაია წყნეთელი** შეიქმნენ სინონიმებათ, ესე იგი ერთი და იგივე მცნების გამომხატველ სიტყვებათ... რომ ეს ჩემი მოსაზრება სიმართლეს არ არის მოკლებული, ამის დასამტკიცებლათ მე მოვიყვან შემდეგ დამახასიათებელ მაგალითს: წარსული საუკუნის პირველ ნახევარში სოფელ ხიდისთავში, ქალაქ გორის ახლო, ცხოვრობდა აზნაური ლუკა სვიმონის ძე მელვინეთხუცესიშვილი; მას ცოლად ჰყოლია ფურცელაძის ქალი სოფიო, სოფელ მერეთში დაბადებული და გაზრდილი.

ამ ფურცელაძის ქალისათვის მზითვათ მიუციათ მოახლე გოგო დარეჯან მერეთელი. გარეგნობით დარეჯანი ნამდვილი ფალავანი ყოფილა და ამავე დროს მეტად გამბედავი და უშიშარი. კაბის ქვეშ მუდამ ხანჯალი დაჰქონდა. დარეჯან მერეთელმა კარგათ იცოდა სიმღერა, განსაკუთრებით ურმული და მაყრული. თვით-მნახველთა გადმოცემით, როცა დარეჯანი სიმღერას დასძახებდა, გეგონებოდათ სამი ვაჟკაცი ერთად მღერისო, ისეთი ძლიერი და საამო ხმა ჰქონია... ბუნებით ნიჭიერ დედაკაცს ყოველგვარი სამსახური ეხერხებოდა: მამულის მოვლა, გუთნის დეობა, ცხენზე ჭენაობა, თოფის სროლა ხანჯლის ხმარება და ბევრი სხვა. ბავშვებიც ძალიან ჰყვარებია და მშვენივრად უვლიდა მათ... დარეჯანი არ გათხოვილა და მომკვდარა სოფელ ხიდისთავში ღრმათ მოხუცებული.

მისი ბატონები ლუკა და სოფიო მელვინეთხუციშვილები ამაყობდენ თავისი იშვიათი მოსამსახურით და ხშირად ამბობდნენ ხოლმე სიამოვნების კილოთი: „ჩვენი დარეჯანი ნამდვილი მაია წყნეთელიაო!“.

ზემომოყვანილი საბუთის ძალით მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათე—მაია წყნეთელი ყოფილა ნამდვილი ისტორიული პიროვნება და არა ფანტაზიის მიერ შექმნილი გმირი დიაცი..

ეს გარემოება არც არის გასაკვირველი. მე-18 საუკუნეში, ყველას კარგათ მოგეხსენებათ, საქართველომ საშინელი ბედისწერითი წამები გამოსცადა. დიდ ზღვასებრ აღელვებულმა ცხოვრებამ დაბადა ქართველთა შორის ბევრი შესანიშნავი მებრძოლი, რომელიც ხალხის დასაცავად თავს არ ზოგავდა. ასეთი მოვლენა არ შეადგენს განსაკუთრებულ თვისებას ქართველი ერის ისტორიისა: საზოგადოთ ყოველი დიდი განსაცდელი და ბედისწერითი მდგომარეობა ქმნის ხოლმე თავგანწირულ გმირებს; ეს მსოფლიო მოვლენა არის.

ამისთანა სახიფათო დროს ხალხი მეტად აღელვებულია ყავ-ყორანი მას დასჩხავის საზარელი ხმით და უქადის მოსპობას...

ასეთ დროს ყველას ერთი-ორად ემატება ენერგია, ყველა ივიწყებს თავის ტანჯვა-ვაებას და მხოლოდ მომავალზე ზრუნავს. ხალხი ცდილობს შთამომავლობას გადასცეს შეულახველად თავისი „წმინდათა წმინდა“. ქალიც და კაციც იარაღით ხელში გამოდის ბრძოლის ველზე, რათა შეინარჩუნოს თავისუფლება ერისა, ეს „მშვენება და სიმართლე ამა ქვეყნისა“..

ჩვენმა პატარა საქართველომაც, რომელიც მე-18 საუკუნეში უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა, ბევრი გმირი დაბადა, როგორც მამაკაცთა, ისე დედაკაცთა შორის და მაია წყნეთელი, ეს „ფალავანგმირი“ დიაცი არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს.

მართალია, მის შესახებ არაფერი სწერია ოფიციალურ მემატიანეში, მაგრამ მადლიერმა ხალხმა არ დაივიწყა თავისი ღვიძლიშვილის ამაგი, მისი სამსახური მოძმეთა სასარგებლოდ და შემდეგი პაწია ლექსით შეამკო მათე-მაიას შარავანდედით მოსილი სახელი:

შენი ჭირიმე, მაია,
გლეხთა ნუგეშის მცემელო,
მათე ყაჩაღად ცნობილო,
უსამართლობის მგმობელო!..
მტერთა ტვინისა გამბნევი
მუდამ გეჭირა ხმალია.
შეხედე ჩაგრულ ქვეყანას
შენთვის სტირს მთა და ველია...
ცხონებულ იყოს დიაცი
მისსა ვიტყოდეთ ქებასა:
ქალი გმირულად აღზრდილი
სთესავს კეთილსა ძმობასა...

**ალ. გარსევანიშვილი.**

ქ. ქუთაისი.

დელი მდგომარეობა; ამას უკარნახებს ქრისტეს სარწმუნოებაც, დამშეული სამშობლო კი ხელგამოწვდით ევედრება მათ ამის შესრულებას.

თვითონ ჩვენი სულიერი მამებიც დამეთანხმებიან, რომ დამშეული გლეხის ოჯახიდან შეძლებულ მღვდლის ოჯახში ფულის გატანა ყოველგვარ პრინციპს ეწინააღმდეგება დღევანდელ მომენტში. იმედი მაქვს, რომ ეს მიმართვა უყურადღებოთ არ დარჩება, ჩვენი მღვდელთ მთავრები გულ-გრილად არ შეხვდებიან ამ საკითხს და ერთ გადაწყვეტილებას დაადგებიან.

როგორც ვიცით, შარშან გურიის თითქმის მთელმა სამღვდელოებამ აპატია ხალხს დრამის ფული და დღეს რომ ასე მოიქცეს ჩვენი სამღვდელოება, ისტორიულ სამსახურს გაუწევს სამშობლოს.

იმედი მაქვს რომ მღ. ნ. სასანიას მაგალითს სხვა მეგრული და სხვა მღვდლებიც მიბაძავენ და კეთილნებით შეაწევენ დამშეულ მრევლს თავიანთ ხვედრ დრამის ფულს.

**არტემ ფბნცულაია.**

## პატარა ფელეტონი

**წერილი ფილიპე ბარბაქაძეს.**

ზრასტი, ფილიპე ჩემო!

გისურვებ ბედნიერათ ყოფნას, ამასთანავე გირჩევ ძმაო, ცოტა ფრთხილათ იბოდიალო ამ ვაინობის დროს, თვარა რამდენი კუჭიანია ხო იცი, ძმაო, ჩვენ გოროდში, დაგხვდება ვინმე საცხა ულიცის ბოლოში და მოგაყოლებს ქეჩოში; ნუ გეშინია გოროდოვოები მოგეშველებიან მაშინვე! რტყმევის დროს ქე დეიმალებიან და მერე თუ გნახეს მობეკვილი, კიდევ შენ დაგიჭირავენ, პოლიციაში წამოდი პრისტავს უნდა მოვახსენოთ და პროტოკოლი უნდა შევაყენოთო. მე თუ მიკითხავ, ძმაო ფილიპე, ხვთისა და შენი წყალობით კარგათა ვარ; კაი ხანია აღარ მინახავხარ და მოწყენილი ვარ. რა იქნება შე კაცო, ხანდახან ამ გამოღმა კუთხეშიაც გამოიარო, რომ შევხვდეთ ერთმანეთს, გავაახლოთ პურმარილი და სადმე ჩავაჭინჭილოთ! მაგრამ ამ ვაინობის დროს სად უნდა შეხვიდე ჩასაჭინჭილებლათ აღარ ვიცი; უწინ თუ აბაზათ მელვინეები ჩარექა კაი ჩიჩქინა ღვინოს შამოგიდგამდენ სტოლზე, დღეს ორ აბაზს იხდევინებიან საწურბლია ღრუიან ბოთლში და ღვინო სადოურია ვინ იცის, აღარც მუშტარი უშინჯავს გემოს, თუ გინდა კვახჭირელი იყოს, ძალა უნებურათ გადაკრავს. ძალიან ქე მოუხთათ ამ მიკიტნებ-მეღვინეებს ე პატენტის გაძვირება!

ახლა უფრო იგებენ და ყვლეფავენ ხალხს. ბატონო პოლიციის მეშინიაო და გაგიყვანებენ საცხა ჩიჩმებისაკენ, მოგიტანებენ ამ საწურბლიეი ბოთლით დათან მოაყოლებენ ჩაის ჭიქებს და ოხრახუშს, გინდა თუ არა უნდა დალიო მაყურულათ საყოვლაწმინდო; გისხამს თვითონ ჩაის ჭიქებში და ხელით გამოგიწურავს ბოთლს, ასე რომ ერთი ბოთლის მაგივრათ ორ-სამ ბოთლს გაყიდვიებს; ღვინო ხშირათ წითელი აქვს ბევრს, იმიტომ რომ რამდენიც უნდა უთაქოს წყალი ფერს არ შეუცვლის მაინც და მაინც; დალევ თუ არა მაშინათვე შეატყობ, რომ ეს „მიწყალე" ღვინისაა, მარა რას ეტყვი, თუ არ მოგწონს ქე მიბრძანდი. ამას წინათ ერთი ძმა კაცი შემხვთა, დავპატიჟე ერთ ბოთლ ღვინოზე; მედუქნემ მომიტანა დაბალი და წვრილი ბოთლი, დოუტრიალა პოპოშნიკი და ვითომ დიდის ამბით მუაძრო პროპკა გეგონებოდა კახეთინცკიაო, ის კი არა თურმე თვითონ ასხამს ღამე ბოთლებში, ალბათ წყალსაც უთაქებს და დაპროპკავს მაგრათ და გატოვა! მერე მომიტანა ორი უშველებელი ჭიქა. ჩავასხი ჭიქებში—ერთი გაავსო და მეორეს ნახევარი დააკლდა, რაღას ვიზამდი, შემრცხვა და მივაძახე, მეორე ბოთლიც მომიტანეთქვა. მომიტანა და თან ვკითხე, შე კაცო სად იშოვე ასეთი პატარა ბოთლები თქვა?.

მიძახრა—ეს ბატონო „ბლაგაროდნი ბუტლიკაა" მაგიერათ ექვს შაურათ ვყიდიო. მე ვუთხარი, ძმაო ერთი ნებლაგოროდნი მოგეტანა და უფრო დაგიმადლებდი თქვა; ახლა ბატონო ამაზე დიდი ბოთლები აღარ იშოვებაო, მიპასუხა მედუქნემ. ეჰ, ღვინოს ვილაპ ჩივა ძმაო ფილიპე, ნეტაი საჭმელი მაინც არ გაეძვირებიათ! შენი მტერი ძმაო გამოღმა კუთხის მცხოვრებლები დღეში არიან! ერთი იარმუკა გვაქ ღულაძის მიდორზე, მარა რათ გინდა, ვერაფერს ვერ იშოვით; თუ დაწოლი ღამე მიდორზე და დილას ადრე დეებდღვნები სოფლიდან შემოტანილ პრავიზიას, თვარა მერე რო მიხვიდე თუ გინდა შვიდ საათზე, აღარაფერი აღარაა გასაყიდი, იალონზე თურმე მიესევიან იქაური მებუტკეები, იყიდიან ყველაფერს და პადვლებში მიმალავენ, მერე გამოაჩენენ და შენ მამასისხლათ მოგყიდიან.

ამას წინათ ვიღაცა ოჯახ-აშენებულმა მარიოლლი იყო თუ მარინესოლლი ჩაწერა გაზეთში, დაგვიხსენი ჩარჩელებისაგანო, ვიხოცებით შიმშილითაო, ბაზარნიკი ვერ გვშველისო; სიმართლე გითხრა ძალიან გამეხარდა, იქნება აწი მაინც გვეშველოსთქვა, მარა მაინც არაფელი გამოვიდა, გამოჩნდა ვიღაცა, ბაზარნიკი თუ იყო თვარა ნეტაი რას ეეწვა პირი, რომ ვექილად დაუდგა მებუტკეებს და უპასუხა მარიოლლის, რაც გაზეთში წერია ტყულიაო, ბაზარნიკს სამუბანში აქვს კიდევ საქმეო, მარა ღულაძის მიდორზედაც ჩამოდისო და თავის საქმეს კარგათ ასრულებსო. მარიოლლიმ მალე დაუწერა კიდევ, ფიცი მრწამს და ბოლოო მაკვირვებსო, სულ ჩამოუთვალა და დაუმტკიცა სიმართლე. პარასკევს 12 ივანობისთვეს სახლში ქალმა მითხრა, ერთი წოდი მოედანზე და ჰყინტი ლობიეი და ახალი ხახვი იყიდე დღეს სადილისათვისო; გევიქეცი რვა საათზე გევიარ-გამოვიარე ვეღარაფერი ვეღარ ვიშოვე, დავაფჩინე პირი; ჩამევიარე მებუტკეები და ყველაფერი იმათ ეყიდათ, იქვე ორი მოკუნძული ურიაც დაძრობოდა და კვატიეის ჰუჰულებს ყიდულობდენ, არც ბაზარნიკი და არც მისი კანტიტატი არ მინახავს, ის ჩამოვა თერთმეტ ან თორმეტ საათზეო. რაღას ვიზამდი, ისევე მებუტკესთან ვიყიდე ერთი კონა კაპიკიანი ხახვი სამ კაპეიკათ და შვიდი კაპეიკის ლობიო სამ შაურათ; მაშინ კი ჩავილაპარაკე, ახლა კი დავრწმუნდი ვიღაცაა ის მარიოლლი მართალი დაუწერიათქვა, ღმერთმა აკურთხოს იმისი ოჯახითქვა. მკითხეს ნეტაი ვინ არის ეს მარიოლლიო; მე ვუთხარი, რას დაეძებთ ვინცხაათქვა, ნამდვილი სიმართლე კი ჩაუწერია იმ გაზეთშითქვა. წამოვედი შინისკენ და იქვე პეტრე პავლეს ეკლესიასთან დუქნის წინ ორი კაცი იდგა და ლაპარაკობდა: ვინცხას ჩავაწეროთ გაზეთში, რომ ამ გორიდან ჩამოსულმა ღვარმა დაგვაქცია და უპრავა ყურადღებას არ აქცევსო, თან კიდევ გვშტრაფავს ამ შიმშილობის დროს ტროტროები მოაგეთ თქვენი ადგილის წინოო, თვითონ უპრავა კი აგერ პეტრეპავლეს ეკლესიის წინ და გვერდზე თავის გასაკეთებელ ტროტროს არ აკეთებს და ღამე ფეხებს ვიმტვრევთო. ახირებული საქმეა ნუ მომიკვდები ძმაო ფილიპე! კაცო, ხალხი შიმშილით კვდება, ბათმანი დაფქული მანათად ვიყიდე დღეს და ეს მამაცხონებულები გამომდგარან და რასპორიაჟენიას შობიან ტროტუარები მოაგეთო.

ტროტუარი კი არა გუშინ საღამოს ტელეგრამაში ეწერა თათრებს შვიდი კორპუსი ჯარი მოუდენიათ და კავკასიას აოხრებას უპირებენო, რა მეტროტროგება და მეშტრაფება თუ ძმა ხარ, ღმერთი ხომ არ აწუხებს ამ ხალხს! ნეტაი თუ მართალია ძმაო ფილიპე, შენ უფრო კარგათ გაიგებ, გაცნობილი კაცი ხარ ამ გოროდში. კიდევ მინდოდა რაღაცა მეკითხა თქვენთვის, მარა ქალმა დამიძახა ეხლა ვისადილოთ და გავშინჯოთ შენი მოტანილი ჰყინტი ლობიეიო, ამიტომ ახლა მეტს არაფერს ვწერ, პროშჩაი დოსვიდანია ჩემო პილიპე!

**შენი მეგობარი იპოლიტე ტლინკაძე.**

## წერილი კორბოულიდან.

**სოფ. კორბოული** (ზემო-იმერეთი). წლევანდელი წელიწადიც, როგორც ეტყობა, რაღაც არა კეთილს გვიქადის. წლევანდელი წლის ზამთარი ზაფხულათ მოგვევლინა, ზაფხული კი ზამთრათ „ამხელა კაცი მოვყრილვარ და მე ამისთანა უცნაურ წელიწადს არ მოვსწრებივარო", ხშირათ გამოსთქვამენ ხოლმე მოხწრებულები, წლევანდელი ამინდის შესახებ ვარე. მართლაც, ზამთრის თვეებმა ისე გაიარა, რომ მაისის ამინდს წარმოადგენდა, მაგრამ დადგა თუ არა მარტი, მას აქეთ ამინდის გამოკეთებას არა ეშველა რა. აპრილის 25—27 ისეთი გადუღებელი თოვლი მოდიოდა, რომ თითქმის არშინზე მეტი დასდო, რამაც სულ ერთიანათ გაანადგურა, როგორც ნათესობა, ისე ხეხილი და ვენახები. ამას ზედ დაერთო გამუდმებული წვიმები, რამაც მეტად დიდათ შეუშალა ხელი გაზაფხულის ხვნა-თესვას, და რაც დაითესა, ისიც ისეა გაფუჭებული, რომ აღარავითარ იმედს არ იძლევა კარგი მოსავლისას. მართალია შარშან საზოგადოთ საშუალოზე მეტი მოსავალი იყო, მაგრამ 2—3 წლის წინა წლების მოუსავლობამ და ახლა კი მსოფლიო ომისაგან გამოწვეულმა კრიზისმა ისე გასწყვიტა ხალხი წელში, რომ დიდი ბარაქალა უნდა მათ ზეზე წამოყენებას...

კოდი სიმინდის ფასი სამ მანეთზე ავიდა, პურისა კი ოთხმანეთამდის, მაგრამ გასაყიდელიც რომ აღარ იშოვება, ეს აფიქრებს ხალხს.

წლევანდელი წელიწადი მხოლოდ ვაჭრებისათვის გამოდგა სახეირო. ომიანობის მიზეზით სწორეთ რომ შესახარბისათ სარგებლობენ ეს ვაჟბატონები. მათთვის აქ არავითარი ნიხრი არ არსებობს, და როგორც ეპრიანებათ, ისე იქცევიან. ამ გარემოებამ ადგილობრივ ხალხს თვალები აუხილა, რის გამოც კანტი-კუნტათ გაისმის ხალხში მომხმარებელი საზოგადოების დაარსების საჭიროება.

ხან გამოშვებით დიდი ნიაღვრობა ხდება ხოლმე ჩვენს კუთხეშიაც. მაგალითად 5 და 8 ივნისს ისეთანა დიდირები და ნიაღვარი მოვიდა, რომლის მსგზავსიც ჯერ არ ნახულა. პატარა ღუმალა ამ დღეებში გააფთრებულ თერგს მოგაგონებდა კაცს, რამაც სულ ერთიან წალეკა ნახნავ ნათესი და მშრომელი ხალხი ცარიელზე დასვა. გახშირებული ნიაღვრობა, ჩემის ფიქრით, გამოწვეულია ხეტყის უგნური გაჩანაგებით, როგორც ჩვენს მხრისაკენ, ისე საქართველოს ყველა კუთხეებში. საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სამეურნეო საზოგადოებამ და აგრეთვე მთავრობის წრეებმაც.

ამ ათიოდე წლის წინათ, როგორც მახსოვს, მთავრობისაგან დაკანონებული იყო, რომ ხე-ტყის მოვლა შენახვას და ზომიერათ ხარჯვას თავის თავზე იღებდა, მაგრამ მას აქეთ ამ განკარგულებამ მიიძინა, მხოლოდ წელს ზამთრის თვეებში მახლობელ ზერეთისის სახაზინო ტყის მცველებმა თითქმის ორი საბოქაულო ნაწილის (ქვათურა-სახერის) მესაკუთრეთა ტყეები და ჩირგნალები ასწერეს, რომლის მიზანსაც ჯეროვნათ ვერ უმარტავდენ ხალხს, ხალხში კი ხმა გავრცელდა, რომ ნამდვილათ ჩვენი ტყეები სახაზინოთ ირიცხება და ჩვენ უყიდლათ ჩვენსავე საკუთრებიდან აღარა მოგვეცე მათ რაო; ქე მაინც მოვასწროთ, რაც მოსასწრებიაო და მიჰყვეს ხელი თავისავე საკუთარ ტყეების ექსპლოატაციას. თავდაპირველათ ნიშანში ამოიღეს მუხის ხეები, რომლის სინსილაც კი აღარ გაუშვეს მოუჭრელი. ზოგიერთი ტყის მეპატრონეებმა და აწი კი ჯერი სხვა ჯიშის ხე-ტყეებზეც მიდგება.

დიდათ დაგვავალებენ ქართული სამეურნეო საზოგადოება და აგრეთვე მთავრობის დაწესებულებაში მოსამსახურე ქართველი პირები, რომ პრესის საშუალებით განმარტავდენ ამ ბუნდოვან საკითხს და დაარწმუნებდენ ჩვენი ტყეების მესაკუთრეთ, რომ მათგან დაცული საკუთარი ტყეები, ყოველთვის მათ საკუთრებათ დარჩება და არავისაგან ჩამორთმევა არ მოელისთ.

აგრეთვე სოფლის ინტელიგენცია და შეგნებული პირები ვალდებული არიან განუმარტონ ქართველ ხალხს ხე-ტყის დიდი მნიშვნელობა, როგორც აჯვისა, ისე მოსავლისათვის.

**მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.**

## ანგარიში

ქართველთა შორის წერა-კითხვის. საზოგ. ქუთაის. განყოფ. სასარგებლოთ 10 მაისს გამართულ სეირნობა ალეგრისა.

### შემოვიდა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ბილეთებისაგან | 511 მან. | 70 | კაპ. |
| 2. ლოტარია ალეგრის | 850 მ. | 40 | კ. |
| 3. ჩაის სტოლებიდგან | 485 მ. | 7 | კ. |
| 4. ბედნიერების გასადებისგან | 197 მ. | | |
| 5. ყვავილებისაგან | 95 მ. | 70 | კ. |
| 6. წიგნებისა და სურათების. | 84 მ. | 80 | კ. |
| 7. ბედნიერების კოშკისაგან | 64 მ. | 30 | კ. |
| 8. რგოლებისგან | 60 მ. | 66 | კ. |
| 9. ბედის კასრისგან | 53 მ. | 61 | კ. |
| 10. ფოჩტისაგან | 15 მ. | 61 | კ. |
| 11. ჰტი შოსგან | 10 მ. | 35 | კ. |
| 12. რულეტკისგან | 6 მ. | 50 | კ. |
| 13. სახავშო ეტლისგან | 6 მ. | 65 | კ. |
| 14. ფულით შეწირულება | 564 მ | 52 | კ. |
| სულ | 3006 მ. | 87 | კაპ. |

### დაიხარჯა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. მარკებზე | 68 მ. | 76 | კ. |
| 2 ნივთების მოსამზადებელ მასალაზე | 90 მ. | 42 | კ. |
| 3. დეპეშაზე | 2 მ. | 98 | კ. |
| 4. მუსიკაზე და ზურნაზე | 40 მ. | | |
| 5. განათებაზე | 37 მ. | 50 | კ. |
| 6. მუშებზე დარაჯებზე, მებადეზე | 46 მ. | 5 | კ. |
| 7. ხის მასალაზე | 10 მ. | 20 | კ. |
| 8. კანფეტებზე | 57 მ. | 40 | კ. |
| 9. სტამბის ხარჯი | 30 მ. | | |
| 10. მაშხალები, კონფეტტი და სხვა რამეებში ფეიერვერკს | 62 მ. | 58 | კ. |
| 11. გატეხილ ჭურჭლებზე | 15 მ. | 50 | კ. |
| 12. წიგნებში | 15 მ. | 56 | კ. |
| 13. ხის ზანდუკებში ნივთების ჩასაწყობად | 11 მ | 86 | კ. |
| 14. რკინის წვრილი რგოლებში ბილეთებისათვის | 15 მ. | | |
| 15. დურგლებს | 9 მ. | 50 | კ. |
| 16. პატარა კალათებში | 5 მ. | | |
| 17. რეკლამების დამზადება ბილიარდი, ბედნიერების კოშკი | | 92 | კ |
| ქაღალდი და სხვა წვრილმანი ხარჯები | 56 მ | 92 | კ |
| 18. 10%/0 მთავრობის გადასახადი | 186 მ. | 85 | კ. |
| სულ | 762 მან. | 8 | კაპ |

3006 მ 87 კ.—762 მ 8 კ

2244 მ. 79 კაპ.

გამგეობა მთელის თავისი შემადგენლობით ღრმეს მადლობას უცხადებს: ქუთაისის ვაჭრებს უხვ შეწირულებისათვის, მანდილოსნებს ხელსაქმის თუ სხვა შეწირულებათა მოგროვებისათვის და თვით სეირნობაზედ ერთგულ დახმარებისათვის და მთელ ქუთაისის საზოგადოებას, რომელიც ასე [illegible] ბით ეკიდება წ. კ. ქ. ს. ზ. სეირნობას და შითუწყობს ხელს მის [illegible].

სეირნობის გამგენი: **მარიამ ვარდოსანიძის ასული და მელანია გველესიანისა.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

გთხოვთ ეს წერილი თქვენი გაზეთის უმახლობელეს №-ში დაბეჭდოთ.

თქვენს პატივცემ. გაზეთში იბეჭდება ბ. ა. გარსევანიშვილის წერილები: „გმირი ქალი მათე ეახნდათ წოდებული". იგივე ამბავი, ზეპირსიტყვაობიდან ამოღებული, მე უკვე დიდი ხანია მაქვს დაწერილი და რომ საზოგადოებამ არ იფიქროს თითქო გარსევანიშვილის წერილებით ვისარგებლე, ან თვით ავტორს არ დარჩეს საწყენათ, საჭიროთ ვრაცხ ახლავე გამოვაცხადო.

**ვ. რუხაძე.**

## სია.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრებათ ჩაეწერენ და 1915 წლის ხვედრი ფული შემოიტანეს ბ. **ირაკლი შევარდნაძის.** თაოსნობით შემდეგმა პირებმა:

ადანაია დიმიტრი, არველაძე თედორე, ბიბილეიშვილი ივლიანე, გაბუნია დიმიტრი, გეგუჩაძე სამსონ, გრიგოლაშვილი ლავრენტი, დოლიძე ზაქარია, თათარიშვილი კირილე, კიკავა სამსონ, კოსტავა ალექსი, ლევიძე კონსტანტინე, მანაგაძე ანტონ, მერაბოვი გიორგი, ოსეფაშვილი სერგეი, ოყრეშიძე პლატონ, ქორქოლაძე ვარლამ, ქლენტი მიხეილ, სილაღავა პავლე, სულაბერიძე გერმანე, ყუფარაძე გიორგი, შალამბერიძე პოლიკარპე, შევარდნაძე ირაკლი, ჩიხლაძე მიხეილ, ჩხაიძე გიორგი, ძნელაძე ნოე, ძოწენიძე ფილიპე, ჰეიშვილი ირაკლი, ჰეიშვილი ფილიპე ჯავახაძე სამსონ, ჯღარკავა ნესტორ.

გამგეობა მადლობას სწირავს ბ. ირ. შევარდნაძეს და აგრეთვე ყველა ზემო დასახელებულ პირთ.

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**


დაიბეჭდა და იყიდება ძ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

**„НОВОЕ СЛОВО"**

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი უდით 2 აბაზი.**

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер."** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია"**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**ძ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ ჯვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

**კატალოგები უფასოთ** თ.

**ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილი**

**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც შეუმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, როგორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდი. თ. 215